

**საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა  
კაბინეტი  
დადგენილება N 900  
1994 წლის 31 დეკემბერი  
ქ. თბილისი**

**იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა  
სოციალური მოწყობის სრულყოფისა და მათი მშობლიურ  
საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების ორგანიზაციის  
დამატებით ღონისძიებათა შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი აღნიშნავს, რომ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის აპარატის, სამინისტროების, კომიტეტების, დეპარტამენტების, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების, ფართო საზოგადოებისა და მოსახლეობის მიერ გასულ პერიოდში ჩატარებულია სერიოზული მუშაობა საომარი მოქმედების რეგიონებიდან ევაკუირებული სახელმწიფო, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების განსათავსებლად და სათანადო სახსრებით უზრუნველსაყოფად, დევნილი და ლტოლვილი მოსახლეობის დასაბინავებლად, მათთვის საჭირო და აუცილებელი სოციალური და ეკონომიკური ღონისძიებების გატარებამ შესაძლებელი გახადა ასეულ-ათასობით უსახლკარო ადამიანის ახალ ურთულეს და საგანგებო პირობებისადმი ადაპტაცია, თავსდამტყდარ უბედურებათა გარკვეული შემსუბუქება, მათი შრომისა და ყოფის უმწვავესი საკითხების რამდენამდე რეგულირება.

მაგრამ ათასობით იძულებით გადაადგილებული და ლტოლვილი ადამიანის სოციალური მოწყობის საქმიანობაში არის მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანიც, რომლებიც განაპირობა იმან, რომ რესპუბლიკის რიგი სამინისტროები, უწყებები და ორგანიზაციები ზოგჯერ ნაკლები ყურადღებით ეკიდებიან ან მეტად დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებას, არ ასრულებენ რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებას ამ საკითხთან დაკავშირებით.

არადამაკმაყოფილებელია საერთაშორისო დახმარების კოორდინაციის ბიუროს მიერ განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობაც.

იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სოციალური მოწყობის საქმიანობის გაუმჯობესებისა და მშობლიურ ადგილებში მათი დაბრუნების ორგანიზებულად განხორციელების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტმა: - დასახოს ქმედითი ღონისძიებანი იძულებით გადაადგილებულ პირთა და

ლტოლვილთა სოციალური მოწყობის, მათი მშობლიურ ადგილებში დაბრუნების ორგანიზაციის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის;

- რესპუბლიკის სამინისტროებთან, კომიტეტებთან, დეპარტამენტებთან, საწარმოო კოლექტივებთან, აგრეთვე კომერციულ სტრუქტურებთან ერთად გადაუდებელ ამოცანად დაისახოს იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა, აგრეთვე მშობლიურ ადგილებში დაბრუნებულ მოქალაქეთა მინიმალური საყოფაცხოვრებო პირობებით უზრუნველყოფა, შრომითი მოწყობის გაუმჯობესება და ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებათა გატარება;

- ტურისტული ბაზების, პანსიონატების, სასტუმროებისა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელობის, აგრეთვე ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მონაწილეობით მიაღწიოს საერთო ცხოვრების წესებისა და ნორმების სრულ დაცვას; გააკონტროლოს, გამოავლინოს და მკაცრი მსჯელობის საგნად აქციოს ნებისმიერი დარღვევა ამ სფეროში;

- ადგილობრივი მმართველობის შესაბამის ორგანოებთან, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და საერთაშორისო დახმარების კოორდინაციის ბიუროსთან ერთად შეიმუშაოს იძულებით გადაადგილებულ პირთათვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ მატერიალურ ფასეულობათა, პროდუქტებისა და ჰუმანიტარული ტვირთის გაცემის წესი, რომელიც უზრუნველყოფს მათი აღრიცხვისა და განაწილების მკაცრ კონტროლს;

- დააზუსტოს იძულებით გადაადგილებული ოჯახების მიერ დაკავებულ საზოგადოებრივ შენობებში ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოების მოცულობანი და შეუკვეთოს საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა კომიტეტს შესასრულებლად.

2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ კვლავაც აქტიურად იბრძოლოს მის წინაშე დასახული ამოცანების განსახორციელებლად, მუშაობის სტილისა და მეთოდების გასაუმჯობესებლად, დაქვემდებარებული სახელმწიფო, სამეურნეო და სხვა სტრუქტურებისა და ორგანიზაციების მუშაობის საჭირო კოორდინაციისა და ეფექტურობის მისაღწევად, კადრებისა და სპეციალისტების შესანარჩუნებლად და მათი პროფესიული ზრდის უზრუნველსაყოფად, იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სოციალური საკითხების მოსაწესრიგებლად, მათი მშობლიურ ადგილებში დაბრუნების ორგანიზებულად განხორციელებისათვის;

- მოწონებულ იქნეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ შემუშავებული და მიღებული დადგენილებები: "აფხაზეთში სამშვიდობო ოპერაციის ჩატარების, დევნილთა და ლტოლვილთა დაბრუნებისა და ფართომასშტაბიანი მოწესრიგების ღონისძიებებისა და მათი პოლიტიკური, იდეოლოგიური და ორგანიზაციული უზრუნველყოფის პროგრამის შესახებ" და "იძულებით გადაადგილებულთა და ლტოლვილთა შორის, აფხაზეთის მოსახლეობაში ურთიერგაგებისა და ერთიანობის მიღწევის, მშობლიურ კერებში დაბრუნების მორალურ-პოლიტიკური და ფსიქოლოგიური მომზადების გეგმის შესახებ".

3. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის აპარატმა და სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურმა სათანადო სამინისტროებმა, კომიტეტებმა, დეპარტამენტებმა, უწყებებმა, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა:

- აღმოუჩინონ მხარდაჭერა და დახმარება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დასახული პროგრამისა და გეგმის განხორციელებაში; - განიხილონ და გადაწყვიტონ საკითხები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს საქმიანობისათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად /მატერიალურ-ტექნიკური და სამეურნეო-კომუნალური საშუალებებით უზრუნველყოფა/.

4. საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობისა და მომარაგების სამინისტრომ, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრომ, ცეკავშირის გამგეობამ, პურპროდუქტებისა და მეფრინველეობის კორპორაციამ, ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტმა, ადგილობრივი მმართველობის შესაბამისმა ორგანოებმა განახორციელონ საგანგებო ზომები, რათა მკვეთრად გაუმჯობესდეს ორგანიზებული წესით დაბინავებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა კვების ობიექტების პროდუქტებით მომარაგება.

5. საქართველოს რესპუბლიკის შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტმა, საქართველოს შრომის ბირჟამ, სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა იძულებით გადაადგილებულ შრომისუნარიან პირთა დროებითი დასაქმებისათვის.

6. საქართველოს საერთაშორისო დახმარების კოორდინაციას ბიურომ იძულებით გადაადგილებულ მრავალრიცხოვან პირთათვის ჰუმანიტარული დახმარების ორგანიზებულად მიწოდების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტთან ერთად უზრუნველყოს ამ დახმარების მიმწოდებელი დონორი ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინაცია და დასავლეთ საქართველოში სახელმწიფოს მეთაურის პირადი და სრულუფლებიანი წარმომადგენლისა და შიდა ქართლის რეგიონის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატებთან, აგრეთვე ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან ერთად მისი განაწილებისა და მომხმარებლამდე მიტანის სწორი ორგანიზაცია.

7. საქართველოს რესპუბლიკის დაცვის სამინისტრომ:

- შეიმუშაოს და განახორციელოს იძულებით გადაადგილებულ პირთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების, მათი მედიკამენტებით მომარაგების, მკურნალობის და სამედიცინო რეაბილიტაციის უზრუნველყოფის ღონისძიებანი;

- საქართველოს რესპუბლიკის შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად ქმედითი დახმარება აღმოუჩინოს აფხაზეთში საომარი მოქმედების დროს დაჭრილ და დასახიჩრებულ მეომრებს მკურნალობასა და პროტეზირებაში.

8. ქალაქ თბილისის მერიამ განიხილოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს აპარატისა და აფხაზეთის ავტონომიური

რესპუბლიკის პროკურატურისა და სხვა სამართალდამცველი ორგანოების მუშაკების ოჯახთა დროებით საცხოვრებელში განთავსების საკითხი.

9. საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტრომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროსთან ერთად მიიღოს საჭირო ზომები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ცხინვალის კულტურის მუშაკთა და შემოქმედებითი კოლექტივებისათვის შრომისა და ცხოვრებისათვის სათანადო პირობების შესაქმნელად, შემოქმედებითი პოტენციალის შესანარჩუნებლად და აღსადგენად, საჭირო შემთხვევაში წარმოადგინოს სათანადო წინადადებანი.

10. ქალაქ ზუგდიდის გამგეობამ მიიღოს ჯეროვანი ზომები ქალაქში განლაგებული აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს საკოორდინაციო შტაბისა და გალის რაიონის გამგეობისათვის მუშაობის შესაფერისი პირობების შესაქმნელად.

11. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ:

- განიხილოს დადგენილებაში მოცემული ღონისძიებების დაფინანსების საკითხი, დაუთმოს განსაკუთრებული ყურადღება ორგანიზებული კვებისა და დახმარების თანხების დროულად ჩარიცხვას;

- დადებითად გადაწყვიტოს საკითხი მომსახურე იძულებით გადაადგილებულ პირებზე ხელფასისა და დახმარების თანხის ერთდროულად გაცემის საკითხი; ერთი კვირის ვადაში განიხილოს საკითხები:

- იძულებით გადაადგილებულ მომსახურეთა განათლების სამინისტროს, კულტურის სამინისტროს, სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და სხვა ევაკუირებული ორგანიზაციების 1995 წლის ბიუჯეტის ფორმირებისას შესაძლო დახმარებები;

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის და ქალაქ ცხინვალის მასობრივი ინფორმაციის მომსახურე ორგანიზაციათა დაფინანსებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, კერძოდ, აფხაზეთის ტელე-რადიოკომპანიის ნორმალური მუშაობისათვის აუცილებელი მოწყობილობის შესაძენი თანხის გამოყოფის შესახებ.

12. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრომ და ფინანსთა სამინისტრომ იმ უწყებების ხელმძღვანელებთან ერთად, რომელთა დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციების შენობებში ცხოვრება უხდებათ იძულებით გადაადგილებულ ოჯახებს, განიხილონ საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის წინადადებანი ერთიანი საგადასახადო ტარიფების შემოღების, ამ ორგანიზაციებში მომსახურე პერსონალის სამტატო ერთეულების შემცირების, სხვადასხვა სახის მომსახურებისათვის დარიცხვის გაუქმების, კომუნალური გადასახადების მოწესრიგების შესახებ, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკთან, მრეწველობის სამინისტროსთან და საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო, საზღვაო და საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტებთან ერთად დროებით განსახლების ადგილებში აფხაზეთის

ავტონომიური რესპუბლიკის საწარმოთა ამოქმედების მიზნით მათთვის კრედიტის გამოყოფის შესახებ.

13. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციულმა შემნახველმა ბანკმა განიხილონ საკითხი: - იძულებით გადაადგილებულ პირთათვის ფულადი დახმარების გაცემის მომსახურებისათვის ორი პროცენტის დაკავების გაუქმების შესახებ;

- იძულებით გადაადგილებულ პირთათვის მეანობისა და მეპაიეობის საკითხებში დახმარების აღმოჩენის შესახებ.

14. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტთან ერთად გადაწყვიტოს იძულებით გადაადგილებული მოქალაქეების ქონების პრივატიზაციასა და ვაუჩერიზაციასთან დაკავშირებული საკითხები.

15. საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ:

- საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის გაანგარიშების შესაბამისად ერთი თვის ვადაში გამოყოს ქალაქ თბილისში საჭირო რაოდენობის ფართობი პროფტექსასწავლებლების საერთო საცხოვრებლების ბაზაზე იძულებით გადაადგილებულ პირთა განსათავსებლად;

- განიხილოს საკითხები იძულებით გადაადგილებული ოჯახებიდან რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ახალგაზრდების საჭიროების შემთხვევაში რესპუბლიკაში გადმოყვანისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალისათვის აუთვისებელი ადგილების ხარჯზე დამატებით 100 ადგილის გამოყოფის შესახებ /ომში დაჭრილი, დაღუპული მეომრების ოჯახის წევრებისათვის, აგრეთვე იმ მეომრებისათვის, რომლებიც გამოცდების პერიოდში ასრულებდნენ სამხედრო დავალებას და ფიზიკურად არ ჰქონდათ მისაღებ გამოცდებში მონაწილეობის მიღების საშუალება/;

- კომერციულ და სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხულ იძულებით გადაადგილებულ პირთა გადასახადებზე შეღავათების გავრცელების შესახებ; - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალისათვის შესაფერისი შენობის გამონახვის შესახებ;

- იძულებით გადაადგილებული მოსწავლე-ახალგაზრდების უფასოდ სახელმძღვანელოებით მომარაგების შესახებ, ქალაქებში მოსკოვსა და სოჭში ლტოლვილი ბავშვებისათვის ქართული სკოლების კონტინგენტის გათვალისწინებით.

16. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრომ, კულტურის სამინისტროსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან ერთად ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს წინადადებანი საქართველოს მთლიანობისათვის დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ.

17. საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტმა საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელშეწყობით:

- სამი თვის ვადაში აღრიცხოს აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ლტოლვილი მოქალაქეები, დააყენოს საკითხი შესაბამის ორგანოებში მათი სოციალური პრობლემების მოწესრიგების თაობაზე ლტოლვილთა შესახებ საერთაშორისო ნორმების მიხედვით;

- მიიღოს ზომები ლტოლვილთა რაოდენობის საბოლოოდ დასაზუსტებლად და სამშობლოში დაბრუნებისათვის მოსამზადებლად, მათი ცხოვრებისა და შრომის მინიმალური პირობების შესაქმნელად, სამშობლოსთან კავშირის აღსადგენად და დასამყარებლად. ამ მიზნით ფართოდ გამოიყენოს პრესის, რადიოსა და ტელევიზიის შესაძლებლობანი; - საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის კომიტეტთან ერთად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ მოწყობასთან დაკავშირებული საკითხების მომზადებისა და განხილვისას, როგორც წესი, გაითვალისწინონ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლის მონაწილეობა.

18. აფხაზეთიდან გამყვანილი სახელმწიფო სატრანსპორტო საშუალებათა უფრო ეფექტური ექსპლუატაციისა და ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში შემოსავლების გაზრდის მიზნით:

- აიკრძალოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კუთვნილი ყველა სახის სახელმწიფო ტრანსპორტისა და სხვა ქონების ლიცენზირება, პრივატიზაცია და იჯარით გადაცემა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან შეთანხმების გარეშე;

- საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრომ განიხილოს საზღვაო კომპანია "აფხაზეთისათვის" საომარი მოქმედებების დროს დროებით გადაცემული გემების "კოდორისა" და "ვექტორის" დაბრუნების საკითხი.

19. საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტმა საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტთან, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროსთან ერთად დაამუშაოს დებულება ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების, ხეიბრების, მძიმე ავადმყოფების და მათი მომვლელების, მარჩენალის გარეშე დარჩენილი პენსიონერების, აგრეთვე საგანგებო დავალების შესასრულებლად მივლინებული პირებისათვის სამგზავრო ბილეთებზე შეღავათიანი ფასების დაწესების შესახებ.

ამასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 10 ნოემბრის N 845 განკარგულება.

20. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ, "საქნავთობის" დეპარტამენტმა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კონცერნ "საქნავთობპროდუქტმა" განიხილონ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსათვის 10 ტონა ბენზინისა და 10 ტონა დიზელის საწვავის ყოველთვიურად გამოყოფის საკითხი წინასწარი ანგარიშსწორებით.

21. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ და ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტმა:

- მიიღონ ზომები იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა შორის სამართალდარღვევათა ფაქტების პროფილაქტიკისა და აღკვეთისათვის;

- საჭიროების მიხედვით უზრუნველყონ იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა რესპუბლიკიდან გასვლისა და რესპუბლიკაში დაბრუნებასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება;

- საზღვარგარეთ სამუშაოდ წამსვლელ პირთათვის ვიზების გაცემა მოახდინოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული ლიცენზიების საფუძველზე;

- დაუყოვნებლივ განიხილოს და გადაწყვიტოს იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა პასპორტიზაციასთან დაკავშირებული საკითხები;

- მიიღოს ზომები საომარი მოქმედების დროს სხვადასხვა სამხედრო ფორმებისა და უწყების დაქვემდებარებაში გადაცემული სახელმწიფო სატრანსპორტო საშუალებათა კანონიერი მფლობელებისათვის დასაბრუნებლად.

22. საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტისა და საქართველოს საერთაშორისო დახმარების კოორდინაციის ბიუროს მიერ იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური მოწყობის საკითხებში განსახორციელებელი სამუშაოს შეთანხმებულად წარმართვის მიზნით იძულებით გადაადგილებულ პირთა რიგებიდან:

- დაინიშნოს საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის თავმჯდომარის ერთი მოადგილე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წარდგინებით;

- გათვალისწინებულ იქნეს ქალაქებისა და რაიონების მერიებსა და გამგეობებთან არსებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა კომიტეტების შემადგენლობაში, როგორც წესი, ორი კაცი.

23. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად შექმნის პირობები დალის ხეობაში სახელმწიფოებრივი სტრუქტურების გამართული მუშაობისათვის, განახორციელოს ღონისძიება აღნიშნულ ხეობაში დარჩენილი სატრანსპორტო საშუალების, სხვადასხვა მექანიზმებისა და მატერიალურ ფასეულობათა მოვლა-პატრონობის უზრუნველსაყოფად.

24. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ:

- ორი კვირის ვადაში გადაწყვიტოს დალის ხეობაში ადგილობრივი მმართველობის საკადრო საკითხები;

- საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად გაატაროს აუცილებელი ერთობლივი ღონისძიებანი ხეობაში შექმნილი კრიმინოგენული სიტუაციის განსამუხტავად, ხეობაში კოეცენტრირებული და ხიზანი მოსახლეობის პირადი ქონების დასაცავად;

- საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე მოსმენილ იქნეს რესპუბლიკის მოსახლეობის სურსათით მომარაგების სამთავრობო კომისიისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ერთობლივი ინფორმაცია "დალის ხეობაში მცხოვრებთა და აფხაზეთიდან ლტოლვილთა

სურსათით უზრუნველყოფის ღონისძიებათა გეგმის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მიერ 1994 წლის 1 სექტემბერს N 743 განკარგულების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

25. საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ:

- საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან ერთად მიიღოს ზომები დალის ხეობაში სოფლების სკოლებში სარემონტო სამუშაოთა ჩასატარებლად და ამ სამუშაოების დასაფინანსებლად;

- განიხილოს აღნიშნულ ხეობაში მცხოვრები ახალგაზრდების უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის დროს მათთვის შეღავათების გაწევის საკითხი.

26. საქართველოს რესპუბლიკის საავიაციო ტრანსპორტის დეპარტამენტმა დალის ხეობასთან მყარი და რეგულარული კავშირის უზრუნველსაყოფად დანიშნოს შვეულმფრენის რეისები პერიოდულობით - არა ნაკლებ კვირაში ერთხელ.

27. საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრომ, მრეწველობის სამინისტრომ, სახელმწიფო კონცერნმა "საქნავთობპროდუქტმა", ცეკავშირის გამგეობამ, ადგილობრივი მმართველობის შესაბამისმა ორგანოებმა ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტთან ერთად განახორციელონ გადაუდებელი ზომები დალის ხეობის მცხოვრებთა, აგრეთვე მშობლიურ ადგილებში დაბრუნების პროცესში ადამიანთა საკვებით, ტანსაცმლით, საწვავით, სარეცხი საშუალებებით, განადგურებული ოჯახების აღდგენისათვის საჭირო სამეურნეო საქონლით უზრუნველყოფისათვის /სათანადო რესურსებისა და ანგარიშსწორების გათვალისწინებით/.

28. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრომ და ფინანსთა სამინისტრომ ერთობლივად განიხილონ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში აღდგენითი სამუშაოების დაპროექტებისა და წარმოების დაფინანსების საკითხები და თავიანთი წინადადებანი წარმოუდგინონ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს ოცი დღის ვადაში.

29. აღდგენითი სამუშაოების მოცულობათა დაზუსტება, დაპროექტება და განხორციელება დაევალოს რესპუბლიკაში განლაგებულ საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციებს, განურჩევლად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა და საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის თაოსნობით.

აღნიშნულმა კომიტეტებმა ამ დავალების შესრულებისას განსაკუთრებული ყურადღებით განიხილონ აღდგენით სამუშაოებში უცხოური წარმოების მაღალი მზადყოფნის ასაკრები ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების გამოყენების კონცერნ "საქსოფშემნისა" და კომპანია "ლისის" მიერ შემოთავაზებული მეთოდი.

30. საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობისა და მომარაგების სამინისტრომ, არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა კომიტეტმა, ცეკავშირის გამგეობამ, მატერიალური რეზერვების დეპარტამენტმა, რესპუბლიკურმა გაერთიანება "საქსაშენმასალებმა", საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტმა და სახელმწიფო კონცერნმა "საქნავთობპროდუქტმა" მიიღონ საგანგებო ზომები, რათა აღდგენითი სამუშაოებით დასაქმებული მოსახლეობა, საპროექტო და სამშენებლო



ორგანიზაციები შეძლების მიხედვით იქნენ უზრუნველყოფილი სამშენებლო მასალებით, ნაკეთობებით, სატრანსპორტო საშუალებებით, რისთვისაც შექმნა მათი საჭირო რეზერვი /სათანადო რესურსებისა და ანგარიშსწორების გათვალისწინებით/.

31. ეთხოვოს რესპუბლიკის სამინისტროებს, უწყებებს, წარმოებებსა და დაწესებულებებს, ქალაქებისა და რაიონების მერიებსა და გამგებებს, აგრეთვე ასოციაციებს, ფირმებს, ბანკებს და სხვა არასახელმწიფოებრივ სტრუქტურებს სათანადო საქველმოქმედო ღონისძიებებით შეხვდნენ ამ წამოწყებას და თავიანთი წინადადებანი მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური დახმარების შესახებ წარმოუდგინონ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს.

32. საქართველოს რესპუბლიკის დაზღვევის სახელმწიფო კოპანიამ შესაძლებლობის ფარგლებში ჩაატაროს საჭირო სამუშაო მოსახლეობისათვის მიყენებული ზარალის აღსარიცხავად.

33. საქართველოს რესპუბლიკის მასიური ინფორმაციის საშუალებებმა ფართო ადგილი დაუთმონ თავიანთ მუშაობაში აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტრაგედიის ობიექტურ ჩვენებას უზრუნველყონ ქართველთა გენოციდის ამსახველი დოკუმენტების პოპულარიზაცია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ, შექმნან აფხაზ და ოს სეპარატისტთა დეზინფორმაციის საწინააღმდეგო მოქმედების ეფექტური მექანიზმი, ამხილონ მათი ანტიხალხური მოქმედების არსი, მისი განვითარების პროცესი ჩასახვიდან დღემდე, მოპოვებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით ამცნონ მსოფლიოს ხალხებს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიაზე ამჟამად მოქმედი ფაშისტური რეჟიმის შესახებ; განუმარტონ მოსახლეობას, რომ საქართველოს ხელისუფლება ისევე იცავს მშვიდობიან აფხაზთა და ოსთა ინტერესებს, როგორც ქართველთა და საქართველოში მცხოვრებ სხვა ერებისას.

გამომცემლობა "საქართველომ" უზრუნველყოს თავისი ხარჯებით გაზეთ "აფხაზეთის ხმის" გამოსვლა კვირაში ერთხელ 5000 ცალი ტირაჟით.

34. ეთხოვოს საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატას პერიოდულად შეამოწმოს იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ მიღებული კანონების, ნორმატიული აქტების, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურისა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებების რეალიზაციის საკითხი და საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურასთან, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონტროლის პალატასა და პროკურატურასთან ერთად ერთი თვის ვადაში შეისწავლოს აფხაზეთთან და სამაჩაბლოსთან დაკავშირებული საზოგადოებრივი და საქველმოქმედო ფონდების საქმიანობა.

35. კონტროლი ამ დადგენილების შესრულებისადმი დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საკითხთა სამსახურს და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს რესპუბლიკის

პრემიერ-მინისტრი

*ლ. ფაცაცია*